ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი გადვრეკეთ. მარჯვენა ფრთით გენ. ფონ-ეტინგენის ჯარი იცავს ჩვენ მიერ აღებულ პოზიციებს ასენვილის სამხრეთით ფრანგების კონტრ-იერიშების წინააღმდეგ. გენ. ფონ-ებერნის ჯარი განაგრძობს ბრძოლას კურსელისა და მერის მახლობლად. რონი-ესტრე-სენ-დენის დიდ გზაზე იმათ დაიკავეს მტრის სიმაგრეები და უკან განდევნეს მტერი, არონდესკენ, მიუხედავად მტრის მცველების მედგრობისა. გენ. ფონ-შილერის ნაწილებმა დაიპყრეს მაცის გადასავალი და შემდეგ იერიში მიიტანეს მარი-ნემლისის და ვიგნემონტის მაღლობებზე და ანფიელემდე არ შეჩერებულან. გენ. ჰოფმანის კორპუსმა ბრწყინვალე ბრძოლის შემდეგ გადალახა მტრის თხრილები მაღლობებზე, ცისკურის სამხრეთით. ონოეს სამხრეთით ჩვენ რიგებს კურტამდე წავიწიეთ. ტყვეების რიცხვი 10.000-მდე აღწევს; მაშასადამე მაისის 27-დან დღემდე გერმანელი კორპორინციის ლაშქარმა 75.000 ტყვე წამოიყვანა.

**ბერლინი,** ივნისის 11. საღამოს ცნობა. გერმანელებმა განაახლეს იერიშები ნუაიონის ჩრდილო-დასავლეთით. ჩვენ მოვიგერიეთ მტერი და დიდი ზიანიც მივაყენეთ.

**ვენა.** ივნისის 11. საომარი ცნობა.

**იტალიის ფრონტი.** პიავეს შესართავთან მტერი ორჯერ დაგვესხა თავს მაგრამ უნაყოფოდ. მორკის ჩრდილო-დასავლეთით, ალბანიაში, ფრანგებმა თავისი იერიშები განაახლეს.

**სტამბოლი.** ივნისის 11. ოსმალეთის საომარი ცნობა.

**პალესტინის ფრონტი.** ივნისის 9. საღამოს, ძლიერი საარტილერიო მზადების შემდეგ მტერმა გაიმეორა შეტევა ზღვის სანაპიროებით, მაგრამ იმის წყალობით, რომ ჩვენი არტილერია კარგად იყო დაბანაკებული და ქვეითა ჯარიც ბრწყინვალედ მოქმედებდა, მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ და ის იძულებული იყო გაჩერებულიყო. სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერია.

**პარიზი.** ივნისის 11. ოფიციალური ცნობა. ფრანგების ჯარმა ჯავშნოსანი ავტომობილების დახმარებით დღეს, ნაშუადღევს კონტრიერიში მიიტანა როიესკურტ-სანტმორის ფრონტზე, რომელიც 12 კილომეტრის სიგრძისაა. მიუხედავად გერმანელების მედგარი წინააღმდეგობისა, ფრანგებმა მიაწიეს ლეფრელუას სამხრეთ ნაწილს, აიღეს მაღლობი კურსელსა და მორტემერს შუა რომ არის, და გადაიტანეს თავისი ხაზი მერის დასავლეთით 2 კილომეტრით. ფრანგებმა უკან დაიბრუნეს ბელონი, ულინის ტყე და სენ მორის ჩრდილო ნაწილს მიაღწიეს. გერმანელები საგრძნობლად დაზიანდნენ და ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს 1000-ზე მეტი ტყვე და რამდენიმე იარაღი. ცენტრში გერმანელებმა ჯერ მიაღწიეს ადგილებს, ლოჟის ფერმის და დონტევილის სამხრეთით რომ მდებარეობს, მაგრამ ფრანგების ჯარმა გარეკა ისინი ამ ორი პუნქტიდან: ფრანგები აქ მოკავშირეთა ნაწილებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. მარჯვენა ფრთით გერმანელები უფრო მეტის სიძლიერით ცდილობენ მატელის ჰალის დაპყრობას. ჩვენ მოვიგერიეთ რამდენიმე სასტიკი შეტევა შევინკურტზე. გერმანელებმა დაიკავეს მაშემონტი და მეზანკური, მაგრამ ჯერ იქ ვერ გამაგრდნენ და ამ ადგილების გარშემო კიდევ ბრძოლაა. ლორსის სამხრეთით ამერიკის ჯარი ბრწყინვალედ მოქმედებდა და დღეს დილით ზელის ტყე აიღო და 300 ტყვე წამოიყვანა.

# რადიო-დეპეშები

(დეპ. სააგენტო)

**მოსკოვის რადიო-სადგურიდან.** ციმბირის ყველა ქალაქს, რადგან ციმბირში იმგვარივე საბჭოთა მთავრობა შესდგა, როგორიც რუსეთშია, წინადადება ეძლევა ტაშკენტს კავშირი შეკრას მოსკოვსა და ციმბირს შორის ისე, რომ ირკუტსკი და ტომსკი უმავთულო ტელეგრაფით გადასცემდეს ცნობებს ტაშკენტს, ხოლო უკანასკნელი რადიოთი მოსკოვსა და ტვერს. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, მას სასტიკი პასუხისმგებლობა ედება. სახ. კომ. თავმჯდომარე **ლენინი.**

**საბჭოთა ყრილობა.** სრულიად რუსეთის საბჭოთა აღმ. კომიტეტმა ივნისის 10-ს დაადგინა მოიწვიოს მე 5 მორიგი ყრილობა მუშათა, ჯარისკაცთა გლეხთა და ყაზახთა დეპ. საბჭოების 1918 წლის 28 ივნისისათვის, ნორმა ძველი რჩება, თითო მაზრიდან 11 დელეგატი. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა საბჭოს წესიერად ჩაატარონ მომავალი მასის წარმომადგენლების არჩევნები.

ცენტრ. კომ. თავმჯდომარე: **სვერდლოვი.**

მდივანი: **ავანესოვი.**

**მოსკოვი,** ივნისის 11. ყუბანის, თერგის, სტავროპოლის დეპ. საბჭოებს. ეკატერინოდარი, კავკავი, სტავროპოლი, ნოვოროსიისკი. ასლი სტალინს ცარიცინში. ცენტრ. კომ. კომიტეტი [illegible] დეკრეტი [illegible] შესახებ და არასგზით არ დაუშვან პურის მტკიცე ფასების აწევა თვითნებურად, სახელმწიფო მონოპოლიის დარღვევა. პურის თავისი ნებით ყიდვა და გატანა ყველა დეკრეტი სასტიკად ტარდება ცხოვრებაში. ცენტრ. კომიტეტი გავალებს თქვენ დაიცვათ დეკრეტები და მოგიწოდებს სოციალისტური რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად ყოველი ზომა მიიღოთ, რომ წესიერად მოაწოდონ ქვეყანას პური.

ც. კომ. თავმჯდომარე **სვერდლოვი.**

მდივანი **ავანესოვი.**

# ოსმალეთისა და სომხეთის საზავო ხელშეკრულება.

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, სომხების ეროვნულმა საბჭომ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დასადებად ბათომში გაგზავნა ალ. ხატისიანი, რუბენ ქაჯაზნუნი და მიქაელ პაპაჯანიანი. ოტომანის იმპერიის მხრით მოლაპარაკებას აწარმოებდნენ იუსტიციის მინისტრი ხალილ-ბეი და მთავარსარდალი ვეჰიბ-ფაშა.

საზავო ხელშეკრულებაში საზღვრები საერთოდ მოხაზული და ეხება არა მარტო სომხეთს, არამედ საქართველოსა და ადერბეიჯანსაც. ხელშეკრულებაში ნათქვამია: „ოტომანის იმპერიის შემდეგი ხაზი ჰყოფს საქართველოს რესპუბლიკისა, სომხეთის რესპუბლიკისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკისაგან" და შემდეგ საზღვრის შემოხაზვა იწყება ისევე, როგორც ოსმალეთისა და საქართველოს ხელშეკრულებაში: მდ. ჩოლოქიდან ძველი საზღვრით (1877 წლის), ხოლო ახალციხის ერთ კუთხეში ძველი საზღვრის სანაცვლოდ ახალი—საქართველოს ტერიტორიას რჩება [illegible] რაიონი და შემდეგ ისევე ძველი საზღვრით და უკანასკნელად დევეკირანის უღელტეხილის გაყოლებით. აქ თავდება საზღვრების აღნიშვნა ოსმალეთისა და საქართველოს ხელშეკრულებაში. ოსმალეთისა და სომხეთის ხელშეკრულებაში დანარჩენი საზღვრებიც არის აღნიშნული. დევეკირანის უღელტეხილის შემდეგ საზღვარი მიდის სამხრეთით, აჰოიკარის, ბაშქირანის და ნურაბმაზის მთებით. აქედან საზღვარი სულ მთების გაყოლებით მიდის და უახლოვდება გუმბრი-ტფილისის რკინის გზას ალბულადის დასავლეთით, 5 კილომეტრის მოშორებით. აქედან საზღვარი გადის მწვერვალებით ხანვალაბდე და პირდაპირი ხაზით აღწევს უბ.ღლეს მწვერვალს ალადეზის მთისას და შემდეგ აგრეთვე პირდაპირი ხაზით ეჩმიაძინ-სარდარაბადის გზატკეცილს ხვდება იმ ადგილას, რომელიც ეჩმიაძინის დასავლეთით არის 7 კილომეტრის მანძილზე. შემდეგ საზღვარი შემოუვლის ამ ქალაქს 7 კილომეტრით და მიდის გუმბრ ჯულფის რკინის გზის გასწვრივ და ამ გზას დაახლოვებით 6 კილომეტრით არის მოშორებული, ხოლო 15 კილომეტრით ბაშკიარანის სამხრეთ-დასავლეთით. შემდეგ საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით უხვევს, სოფ. ატაჩი ჩანაკჯის დასავლეთით 1 კილომეტრით შორდება და აღწევს მდინარე ელპინჩაის, რომლის გაყოლებითაც მიდის ის სოფ. არპამდე. აქ საზღვარი უერთდება არპაჩაის ჰალას, მიდის სოფ. კაიალუმდე და მდ. ყაილით აქტანინის მთის მწვერვალს აღწევს. შემდეგ ის ყარატურნის, არაჯიანის, ყარანლიკის მთებით მიდის მდ. რალიანჩაიამდე და მისი ჰალით მიდის და აღწევს სოფ. ალიჯიხს, რომელიც რუსეთ-სპარსეთის საზღვარზეა.

# საქართველოს დამოუკიდებლობის გამო

(დეპეშები).

**ქუთაისი.** ივნისის 11. დასავლეთ საქართველოს საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა ქართველ მოსამსახურეთა კავშირის საბჭო მიესალმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. მისი მიზანია შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხისა და სამშობლოს წინაშე, გამოიჩინოს თვითმოქმედება და დაეხმაროს მთავრობას ხალხის უზენაეს უფლებების განმტკიცებაში და ყველა დაწესებულების გაეროვნებაში.

# ახალი ამბავი

◆ **შემოწირულება.** „სახალხო საქმის" რედაქციამ „ქ. გორის ქართველ მოწაფეთა კავშირისაგან" მიიღო საქართველოს ეროვნულ საბჭოსათვის 783 მ. 33 კ.

◆ **დამოუკიდებელთა კავშირის** (უპარტიოთა) საზოგადო კრება დანიშნულია ხუთშაბათს ივნისის 13-ს დილის 11 საათზე. ეროვნულ საბჭოს ყოფილ დარბაზში ფ[illegible]ილინის ქუჩაზე 11. კრების საგანი კავშირის საბჭოს წევრთა არჩევანი. სასურველია კრებას დაესწრნენ ყველა თანამოაზრენი.

◆ **ქართველები რუსეთში.** ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ ხარკოვში მყოფ ქართველთა მორის არავითარ უბედურ შემთხვევას ადგილი არა ჰქონია. ყველანი ჯანსაღად და უვნებლად არიან. მათი ხანგრძლივი დუმილი ხარკოვის სრული მოწყვეტით აიხსნება.

ხარკოვის ქართული კოლონიის წევრნი გულწრფელ სალამს უძღვნიან ყველა ნათესავთ და მეგობართ. პატივისცემით **ვასილ ვარაზიშვილი.**

◆ **ქართული ჰიმნის კონკურსი.** ქართველ სამხედრო კავშირის ცენტ. კომიტეტი აცხადებს ქართულ ჰიმნის მუსიკის კონკურსს შემდეგის პირობებით: 1, თავისუფალი ფორმა ორი ან სამ ნაწილისაგან, 2. ხალხური, 3. მკაფიო და მოკლე, 4. ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ აკაპელლა (სასიმღერო) საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75 პროც. კონცერტის წმინდა შემოსავლიდან. ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალვაჟთა მომღერალთა გუნდი. კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის. მისამართი ტფ. ქართული კლუბი, სამხედრო კავშირი, მომღერალთა გუნდის გამგეს.

◆ **დაკარგული ოფიცერი.** პოდპორუჩიკი გიორგი (ჟორჟიკა) მიხეილის ძე ორჯონიკიძე მსახურებდა ბათომში ოფიცერთა რაზმში. ბათომის აღების შემდეგ არავითარი ამბავი იმის შესახებ არ ვიცით. მშობლები უგულითადესად სთხოვენ ყველას ვინც რაიმე იცის მის შესახებ შეგვატყობინონ შემდეგი მისამართით: წყნეთის ქ., 1, სამსონ კიკნაძეს.

◆ **კულტურის და შრომის კავშირში.** სამშაბათს, თიბათვის 11-ს, გაიმართა პირველი კრება კულტურის და შრომის კავშირის ახლად არჩეულ გამგეობისა. შემუშავებულ იქნა უახლოეს საქმიანობის გეგმა. სხვათა შორის, გადასწყდა: 1, გერმანულ ენის შესასწავლ კურსების დაარსება (საღამოობით); 2, ქართულ კანცელარიებში მომუშავეთა მოსამზადებლად პრაქტიკულ სკოლის დაარსება და 3, თიბათვის 23-ს კულტურის და შრომის კავშირის პირველ საჯარო კრების მოწვევა. მიღებულ იქნა კიდევ რამდენიმე პრაქტიკული ხასიათის გადაწყვეტილება. ჩაირიცხა კავშირში 31 ახალი წევრი. კავშირის მდივნად ერთხმად აირჩიეს ივ. სტ. ბერიაშვილი.

გერმანულ ენის და ქართულად საკანცელარიო საქმის წარმოების შესასწავლ კურსებზე შესვლის მსურველთ შეუძლიანთ წინასწარ ჩაეწერნენ სათანადო სიებში: 1, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში—ივ. ავალიშვილთან; გ ზ. „საქართველოს" რედაქციაში—ვლად. ფალიაშვილთან და 8, კონსერვატორ „დახმარებაში" (ერევნის მოედანი) ირ. თაზიშვილთან [illegible] შეკვეთა ყოველგვარ საკანცელარიო ბლანკების [illegible].

◆ **[illegible] ყველა ერის** ლტოლვილთათვის სომეხ ქალების კავშირი სხვა ქალებთან, და სტუდენტთა ორგანიზაციებთან ერთად შაბათს ივნისის 15-ს შეაგროვებენ პირველ საჭიროების ნივთებს ფულის მაგივრად იმ პირებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში, სთხოვენ მიმართონ განოვის ქუჩა, № 8, 10 საათიდან—3 საათამდე და 5—8 საათ.

◆ **ბორჯომის რაზმის უფროსად** დაინიშნა გენერალი მაყაშვილი გენ. არჯევანიძის მაგივრად.

◆ **სტუდენტი ხარკოვის უნივ.** საისტორიო—საფილოლოგიო ფაკულტეტისა არტემ ამბაკოს ძე კვირიკაძე დარჩა ხარკოვში. 4 თვეა რაც მისი სადაურობისა არა ვიცით რა. ვსთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს მიხეილის ქუჩა № 118, ბინა № 1. ფარმაცევტი თედო კვირიკაძე.

◆ **სოხუმში დაპატიმრებულნი** და ტფილისის საუსადოში მყოფნი ექიმი ცენოვსკი და სტუდენტი თარხანოვი განთავისუფლეს სამიტსკის და გეგოლიანის თავდებობით.

◆ **მოედანზე** ერთ-ერთ მაღაზიაში გასაყიდად ფანჯარაში არის დაწყობილი ოსმალეთის და სპარსეთის ოქროს ფულები, აგრეთვე რუსეთის ფული (ოქრო და ვერცხლი), ამ მაღაზიაში ბონებს ახურდავებენ ოქროს და ვერცხლის ფულებზე და დიდ პროცენტს იღებენ.

◆ **ახალქალაქში გაგზავნილი დელეგაცია.** ახალქალაქში გაგზავნეს დელეგაცია საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხების რესპუბლიკებისაგან ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად, ახალქალაქის მაზრაში ქრისტიან მცხოვრებლების დაბრუნების შესახებ.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ხვალ, პარასკევს, 14 ივნისს, ნაშუადღევში გაიმართება მორიგი პარტიული კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შალვა მიქელაძე. შემდეგ კამათი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბინა: ეკლესიის ეზო, სკოლის შენობა.

ამხ. შალვა მიქელაძემ მუშათა გაზეთისთვის შემოსწირა 50 მანეთი (ხუთი თუმანი). მუშათა კავშირის გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველს.

# ეროვნული ლირიკა

ამიერკავკასიის ერების ბედი მჭიდროდ იყო ქართველ ერის პოლიტიკაზე დამოკიდებული. მოწინავე ერის მოწინავე დემოკრატია თავისი ნაბიჯებით სათანადო ცვლილებას იწვევდა სხვა ერშიაც. ეხლაც ასე მოხდა. საქართველოს დემოკრატიამ გასწყვიტა ის ჯაჭვი, რომელსაც ამიერკავკასიას უძახოდნენ. 26 მაისს, შემდეგ და დღესაც ამის გამო საქართველოს პოლიტიკა ყოველ ადამიანს აკერია ენაზე, ყველა თავისებურად ზომავს ამ საქმეს.

3 ივნისს, როცა საქართველომ მეორე ნაბიჯი გადადგა ოსმალეთთან ზავის შეკვრით, ხოლო შემდეგ, როდესაც მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ცენტრს წაართვა სახელმწიფოებრივ უფლების ფუნქციები, არა მარტო სხვა ერი, ყველა წრე, ადამიანი ზოგი სიხარულით, ზოგი იმედით, გაბრაზებული, ნასიამოვნები, სასოწარკვეთილი თუ უიმედოთ არკვევს და ზინჯავს მომავალ საქართველოს.

აი გუშინ რუსთაველის პროსპექტზე ტფილისის სამხედრო ძლიერება გამოიყვანეს. ერთის მხრივ იდგა საქართველოს ჯარი, მეორე მხრივ კასკებიანი ჯარი გერმანიისა საქართველოს მთავრობის განკარგულებაში.

რამდენი ხანია ჩვენ არ გვინახავს [illegible] ამბავი. რუსთაველის პროსპექტზე იყო მთელი ტფილისი, მინისტრები, დეპუტატები, უცხოთა მისიები, ცნობილი შეულენბურგი.

სასტიკი წესიერება, დისციპლინა. ვხედავდით რამდენიმე ათას კაცის მანქანასავით მოძრაობას, ყველა გრძნობდა სამხედრო სულს, ძალას, სიმკაცრის სიოს.

— აგერ მინისტრების წინაშე ჯარი, როგორც ერთი ადამიანი გაქვავებულია და მორჩილებით სალამს უძღვნის უფროსებს.

ყველგან ჯარები, სამხედრო სალაბი, მწუხარე მოძრაობა, მიმბაძველობა სიყოჩაღეში.

ამ დღეს ფრიად საინტერესო იყო პროსპექტი. დიდძალი მასალა ფსიქოლოგისათვის, სოციოლოგისათვის, პოლიტიკოსისათვის. რამდენი გაჰყიდა, რამდენი აზრი, რამდენი ლაპარაკი და დავა.

აქა იქ შეშფოთებული ადამიანები იდგნენ და ნ. რამიშვილის პარადის მიღებაში ხედავდნენ დემოკრატიის ღალატს და რევოლიუციის გაყიდვას.

სხვა ალაგას ქალები სტიროდნენ სიხარულით და ხმა მაღლა იძახოდნენ: მადლობა ღმერთს, წესიერებას მოვესწარით, ანარქიას ბოლო მოეღო, შეიძლება მომავალი დაურჩეს განაწამებ საქართველოს.

ჩვენ არ გამოვუდგებით იმის გამოძიებას თუ ვისი გაჰყიდა, ვისი აზრი, სიხარული და თუ ქმუნვა იყო მართალი და შეუცდომელი.

საერთოდ მე ერთი განცდა, ერთი შთაბეჭდილება გამოვიტანე: რაღაც რეაქციის სილუეტი ღიმართა თვალწინ: ვიტყოდი დემოკრატიულ რეაქციას—რომ ამ ტერმინით შეიძლებოდეს მდგომარეობის გადმოცემა.

და ამ რეაქციისათვის ისევ და ისევ იმ ერს სჯიჯგნიდნენ, რომელსაც ყველა კარგად იცნობს:

— საქართველოს, ქართველ ერს!

საბრალო ჩვენი თავი. რამდენი მრჩეველი გვყოლია, რამდენი ბრძენი, მასწავლებელი, ერთგული და მეგობარი!

ამ დღეს ბევრი დაცინვა, ბევრი ლანძღვა-გინება მიიღო სხვა და სხვა ელემენტებისაგან ჩვენმა ხალხმა. მაგრამ ამ უმადურ ძალებს მინდოდა ყურადღება მიექცია ერთ გარემოებისათვის: განა თექვსმეტი თვის განმავლობაში საქართველო რუსეთის კალთაში არ იყო გახვეული და იგი რუსეთში არ ეძებდა ხსნას და შველას? განა ქართველები თვით რუსეთშივე არ მუშაობდნენ რუსეთ-საქართველოსათვის? [illegible] სცადეს ქართველებმა რუსულ ცენტრალიზმის სასარგებლოდ, რა კოლონია არ შეადგინეს, რამდენ ნაირი ორგანო და სამინისტრო არ შეიქმნა... მაგრამ რუსეთის დამხვრევა საშინელი შეიქმნა.

რუსეთი დაიღუპა და საქართველოც, პაწია ქვეყანაც კიდევ უფრო შეავიწროვეს ტერიტორიით, რიცხვით. ეკონომიურ ფინანსიური ძაფები გვქონდა რუსეთთან და ერთბაშად გაწყვიტეს, სიმშილის და სიძვირის კლანჭებში ამოგვდიოდა სული. რუსეთის ძალებმა საქართველოში წინადაც და ეხლაც ითამაშეს სამარცხვინო როლი, ფრონტი გაატიტვლეს, იარაღიც არ დაგვიტოვეს საბრძოლველად.

— აი ასეთ მდგომარეობაში გამოდიან ბრძენი ადამიანები და გვაძაგებენ გერმანელებთან კავშირისათვის.

ნურავის გონია, რომ საქართველომ არ იცის რასა იქმს. ძალიან კარგად ვიცით რასაც ნიშნავს კასკებიან ხალხის შემოყვანა საქართველოში. რასაკვირველია სოციალიზმზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, ამ მხრივ ბევრი რამ უნდა დავთმოთ დროებით, მაგრამ მრავალ ბოროტებაში რაც არის ნაკლებ ბოროტებად მიგვაჩნია თუ გერმანიამ მართლა ბოროტად არ გამოიყენა ჩვენი მეგობრობა და კეთილი დამოკიდებულება.

დიახ, გერმანიის ჯარის შემოყვანა ჩვენი სისუსტის ნაყოფია, მაგრამ თუ ეს ძალა დაგვეხმარება და რაკი ამ ძალამ დაგვეხმარა—ეს უკვე ფაქტია—ჩვენთვის ერთი რამ არის ცხადი: ქართველ ერის სიცოცხლე უზრუნველყოფილია, საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, ქართული სოფლები და ქალაქები გადარჩნენ განადგურებას და ეს ეროვნული სიცოცხლე ჩვენ უფრო ძვირფასად მიგვაჩნია ვიდრე სხვა საერთო დაპირება.

რა იქნება შემდეგ?—ეს ძალიან სადავო საკითხია. არის მრავალი ობიექტიური ხასიათის მასალა, რომელიც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველო კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრების ორომტრიალში გაეხვევა. ჩვენ ასეთი მომავალი გვწამს და გულს არ ვიტეხთ: კარგი ეკონომიური კონიუნქტურა სჯობიან კარგს პოლიტიკას ცუდს ეკონომიკაში.

მოიგონეთ, რამდენი რესპუბლიკა მოისპო იტალიაში ცუდი ეკონომიკის გამო განსაც კი დაიღუპა, როცა ეკონომიურ კულტურის გზს აცდა. დემოკრატიული საფრანგეთი, მაგრამ მონარქიულმა გერმანიამ ლამის არის ტყავი გააძროს მთელ მსოფლიოს, თუმცა საფრანგეთის წარსული იმდენად ბრწყინვალეა, რამდენიც შავია და ცუდი გერმანიის მეცხრამეტე საუკუნის წარსული.

სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქართველ ერის დამეგობრება გერმანიასთან დამღუპველი არ იქნება ჩვენი დემოკრატიისათვის. მეთორმეტე საუკუნეში სოციალიზმი და დემოკრატიზმი არ გვქონდა, მაგრამ ოქროს საუკუნე იყო. იმიტომ, რომ არის მთელი რიგი პირობა ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული, რომელიც საყურადღებოა ერის მომავლის შესწავლისათვის და ჩვენც, ქართველ დემოკრატიის ნაბიჯის გადადგმისას კომერციულ გეოგრაფიისაც მივაქციეთ ყურადღება.

უფრო დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებთ ჩვენი მომავლის შესახებ. ისტორია განსჯის ჩვენს ნაბიჯს. ჯერ მხოლოდ ერთი მომენტიც მიგვაჩნია საყურადღებოდ, რომელიც უკვე ფაქტი არის. მეთვრამეტე საუკუნეში რუსები მუდამ გვატყუებდნენ და ისე გაგვანადგურეს თათრებმა, რომ ჯარი არ მოგვაშველეს, თუმცა დაპირება ქონდათ მოცემული. გერმანელები ამ მხრივ პირიანი ხალხი გამოდგა. როგორც სთქვეს—აასრულეს, ჯარი მათი ჩამოვიდა და ჩვენ გვგონია ქართულ ეროვნულ გამოფხიზლებისათვის ამას მნიშვნელობა ექნება.

კიდევ მეორე ფაქტი: ფონ-ლოსოვის ლაპარაკის დღემდე არავის სჯეროდა, მაგრამ ჩხენკელი და ფონლოსოვი როგორც მივიდნენ ბერლინს გერმანიის მთავრობამ შემოგვითვალა: ვიზიარებ ყველა ნაბიჯს ლოსოვისა და საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულსო. ასეთი პასუხი ჩვენთვის დღევანდელ პირობებში სასარგებლო იყო, მოველოდით და მივიღეთ კიდეც.

ჩვენ არა ვართ ზედმეტად გულუბრყვილონი. გერმანელებმა ძალიან კარგად იციან თავიანთი საქმე და რასაც აკეთებენ ყველაფერს თავის ინტერესებისათვის. ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, არც გვავიწყდება ეს არასოდეს და სწორედ ის, რომ ეს ასეა—ჩვენ იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი და გერმანელების შეკავშირება საფუძვლიანი და ხანგრძლივი იქნება.

გერმანია რომ სარგებლობას არ მოელოდეს არც შემოვიდოდა ჩვენში, უეჭველია ის ისარგებლებს, მაგრამ განა არის სხვა რომელიმე სახელმწიფო, რომელიც ასე არ მოიქცევა? განა თვით ჩვენ, ქართველები ასევე არ მოვიქცევით სხვა მხარეში რომ შევიდეთ ჯარით?

ისიც კარგად ვიცით, რომ გერმანიამ მუხრუჭის მოჭერა იცის. ეროვნულ პოლიტიკაში პრუსიულ-გაკატისტურ პოლიტიკას რომ გაიძახიან, ამ პოლიტიკას გერმანელები ანვითარებენ, მაგრამ ჩვენ გვგონია პრუსიულ პოლიტიკას პოზნანში რომ აქვს ადგილი ნიადაგი არ ექნება საქართველოში. აქაც ტერიტორიის და გეოგრაფიის პირობას ვაქცევთ ყურადღებას. ინგლისის მაგალითი ამ მხრივ საყურადღებოა ძალიან: ირლანდია შეუჭამეს ინგლისელებმა, როცა ავსტრალია და ინდოეთი გაცილებით უმჯობეს მდგომარეობაში იყო. ამერიკამ ძლივს ადვილად მოიშორა ინგლისი, მაგრამ ირლანდიამ საუკუნოებრივ ომითაც ვერაფერი გააწყო. იმიტომ, რომ ამერიკა შორს იყო ინგლისთან, ირლანდიასთან შედარებით და ამიტომ, იქ, სადაც თავისუფლება იჭედებოდა მონობა მტკიცდებოდა მეორე ალაგას. ასეთია ისტორიული მაგალითი.

შეიძლება აქაც ვცდებით?—შეიძლება, მაგრამ ჯერ ერთი დოკუმენტი გვაქვს ხელში, რომელსაც ხელს აწერს გერმანია: საქართველოს მთავრობა ცნობილია სუვერენულ მთავრობად და ჩვენ ამ აქტსაც ვაფასებთ, ვინაიდან ამ აქტს ხელს აწერს, არა გაიძვერა რუსეთი პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის, არამედ რამდენიმე სახელმწიფო ევროპისა: გერმანია, ავსტრო-ჰუნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი და შეიძლება ახლო მომავალში ამ აქტს რუსეთმაც მოაწეროს ხელი.

დიახ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ დოკუმენტს მნიშვნელობა აქვს, რომ გერმანიაც ვერ შესძლოს სავსებით ჩვენი დამორცხვა, მით უმეტეს, რომ ჩვენი დემოკრატია ფხიზლობს, ირაზმება და ძალას ქმნის თავისი უფლებების დასაცავად.

სხვა მხრივაც ბევრი საყურადღებო გვესმის. საქართველოს დემოკრატები გერმანიის იმპერიალისტებს დაუკავშირდნენო. ეს ძალიან მოხერხებული სადემაგოგიო ფანდია ქართველობის გასაწბილებლად. რა უყოთ, გერმანიის ხალხთა კავშირი სამარცხვინოდ არ მიგვაჩნია. საფრანგეთის რესპუბლიკანელები და ბელგიის სოციალისტები ნიკოლოზის ჟანდარმერიასთან მუშაობდნენ, მაგრამ ეს არავის აკვირვებდა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ კავშირის ქსელი გავაბით გერმანიასთან, როგორც სახელმწიფომ და სახელმწიფოები კი ერთმანეთის საშინაო პოლიტიკის ტემპერატურას არ იძიებენ ჩვეულებრივად. ეს უბრალო სახელმწიფოებრივი მორალია. და ამ ეთიკურ ატრიბუტს—ნურას უკაცრავოდ—თუ ქართველობამ პატივი დასდო.

დანარჩენ ლვარძლს თავს ვანებებთ, ვორონცოვ-დაშკოვის გმირების კრიტიკას და რუსის იმპერიალისტების დემაგოგიას უნდა გაუძლოთ. ბევრი ჭირი გვინახავს, ესეც უნდა ვიგემოთ, რომ უმჯობესი მომავალი გამოვსჭედოთ ვიშის საშუალებით.

თე[illegible] დლონტი.

# აკადემიური ცხოვრება

**ტფილისის უნივერსიტეტი.** გუშინ პროფ. ი. ჯავახიშვილის „სამართლის ისტორია" დასრულდა ლექციების კითხვა მიმდინარე სემესტრში. მომავალი სემესტრის დაწყების დრო გამოცხადებული იქნება ადგილობრივ გაზეთებში უნივერსიტეტის გამგეობის მიერ, რომელსაც პროფესორთა საბჭომ დააკისრა სემესტრის დაწყების დროის გადაწყვეტა.

**„ენათ მეცნიერების ლექცია"** დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა პროფესორ გ. ახვლედიანის „ენათ-მეცნიერების შესავლის" ლექციების მეორე ნაწილი.

წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს **91** გვერდს და შიგ მოთავსებულია **6—12** ლექციები. მსურველს როგორც პირველი ისე მეორე ნაწილი შეუძლია შეიძინოს ტფილისის (ქართულ) უნივერსიტეტში, **სტუდენტთა გამგეობის წევრი ქეთევან კარიბაშვილთან.** პირველი ნაწილი ღირს 2 მანეთი, მეორე 4 მანეთი.

პროვინციის აგენტებს და წიგნის მაღაზიებს **დაკვეთა** შეუძლიათ გამგეობის წევრთან, დ. მგალობლიშვილთან (სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა № 14).

პროცენტები ორვის არ დაეთმობა.

**სტუდენტთა კავშირის გამგეობა.**

# დღევანდელი პოლიტიკური მომენტი*)

ჩემი მოხსენება შეეხება პოლიტიკური მომენტის, დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის და იმ საერთაშორისო პირობების დახასიათებას და გაშუქებას, რომელშიაც ისტორიულ ჩარხის ბრუნვამ, მოაქცია ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა.

დღეს თითქმის ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის რევოლიუციამ თვისი მრავალმხრივი და მრავალ ფეროვანი თვისებებით სხვა და სხვა სადღეისო საკითხები და საქმენი წამოაყენა გადასაწყვეტად.

თუ რევოლიუციის დასაწყისში, რევოლიუციის სათავეში მოქცეულ პირთა უმთავრეს მიზანს შეადგენდა კონსტიტუციონალური მონარქიის შემოღება და განმტკიცება რუსეთში, ე. ი. ისეთი სახელმწიფოებრივს წესწყობილებისა, სადაც სახელმწიფოს სათავეში მეფე და საკანონმდებლო დაწესებულებანი იქნებოდნენ,—რევოლიუციის გაღრმავებამ და გაძლიერებამ ამგვარი მიდრეკილება და სურვილი გაიტაცა და გადალახა. თუ ერთის მხრივ ბურჟუაზიის გაბატონებულ კლასის წარმომადგენლებს ინტერესებდათ მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება იმ უფლებებით, რომელიც მხოლოდ მათ მოსახმარებლად ბატონობის. მშრომელსა ხალხს, დემოკრატიამ თვითვე იკისრა თავისი ბედისა და რუსეთის ბედ-იღბლის გადაწყვეტა, როგორც შინაური საქმეებისა, ისე საგარეო პოლიტიკის წარმოება.

ბურჟუაზიის ყალბ ნიადაგს, ცრუ რევოლიუციონეობას თვით ცხოვრებამ, სინამდვილემ გამოაცალა საფუძველი და რევოლიუციის ტალღამ განზე გარიყა იგი.

მისი ნაციონალურ შოვინისტური ზრახვანი, იმპერიალისტური წადილი სამუდამოდ დაასამარა რევოლიუციამ და კონსტიტუციონალური მონარქიის და დაპყრობითი პოლიტიკის გამეფების ნაცვლად, რუსეთის დემოკრატიამ სახალხო რესპუბლიკის განმტკიცებისაკენ მოიწვია მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, დემოკრატია, ბურჟუაზიის ხახმოკლე არსებობა. სურვილი დარღვეულის ხელში ჩაგდებისა გაქრა და დასამარდა.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოება, დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელება—პოლიტიკური რევოლიუციის დროს ეს უპირველესი საკითხია დემოკრატიისათვის, მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ რევოლიუციას როგორც საზოგადოდ რევოლიუციას თან ახლავს სოციალური და ეკონომიური საკითხების გადაწყვეტის სურვილიც. რვა საათის სამუშაო დღე და საზოგადოდ ქალაქის მუშის მდგომარეობის გაუმჯობესება და მიწის საკითხის მშრომელ გლეხობის სასარგებლოდ გადაწყვეტა—ეს უკვე სოციალურსა და ეკონომიურ საკითხების სფეროს შეადგენს.

ის, რაც ათი და ასი წლობით ხორციელდება ჩვეულებრივს დროს, ის, რაც ვითარდება და ხორცს ისხამს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რევოლიუციის დროს შეიძლება ერთს დღეს გადაწყდეს, სინამდვილეთ იქცეს,—ოცნებამ ჭეშმარიტების სახე მიიღოს.

და რუსეთის რევოლიუციამ—დემოკრატიულ რესპუბლიკის განხორციელებასთან ერთად—რვა საათის სამუშაო დღის შემოღება და მიწის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა მოითხოვა.

მესამე მთავარი და საჭირ-ბოროტო საკითხი, რომელიც ნათელჰყო რევოლიუციამ და პირველ ადგილთაგანი დაუთმო მას—ეს გახლდათ საკითხი ეროვნული,—საკითხი, რომელიც ეხებოდა რუსეთში მცხოვრებ ყველა ერის ინტერესებს.

ეროვნულ საკითხთან ერთად რუსეთში იმ ხანებში ფედერატიული რესპუბლიკის, ფედერალიზმის პრინციპებმა გაიმარჯვა. მოხდა ყოველივე ეს მიტომ, რომ რუსეთი არ შეადგენდა მთლიან ეროვნულ ერთეულს. პირიქით რუსეთი იყო მრავალ ერთა სახელმწიფო, სადაც სხვა და სხვა ერთა ინტერესები, ამ ერთა სხვა და სხვაობა ეკონომიურის, რელიგიურის, ტერიტორიალურის, კლიმატიურის, ხასიათისა და ზნე-ჩვეულების მხრივ—ნათელი იყო ყველასათვის.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტა შეიძლება სხვა და სხვა გვარად. ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს ეგონა, რომ ავტონომიის დაწესებით ისპობოდა ეროვნული საკითხის მნიშვნელობა, რომ ავტონომიის შემოღებით, განხორციელებით იშრიტებოდა ეროვნული საკითხის სიმწვავე. მაგრამ საქართველოს მდგომარეობა მაგალითად ისე მოეწყო, რომ საჭირო შეიქნა სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება. დღეს ჩვენი ქვეყანა, ქართველი ერი პოლიტიკურად დამოუკიდებელი, თავისუფალი,—სუვერენული სახელმწიფოებრივი უფლებით არის აღჭურვილი.

ჩვენი გულისყური დღეს განსაკუთრებით იქითკენ უნდა იყოს მიპყრობილი—თუ ვინ როგორ უყურებს სახელმწიფოს წეს-წყობილებას, როგორის თვალსაზრისით უახლოვდება ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს მცნებას და რა უფლებებს ანიჭებს მოქალაქეს—ინდივიდს—მომავალში,—რა უფლებებით სურს აღჭურვოს მშრომელი გლეხობა და ქალაქის მუშა. მაგალითად ეროვნულ-დემოკრატების პარტია, რომელსაც თავი მოაქვს ეროვნულ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტით ჩვენში და საზოგადოდ თავისი რეალური პოლიტიკის წარმოებით, ჩვენის აზრით, ყალბი ნიადაგი და საფუძველი აქვს.

პარტია, რომელიც ბურჟუაზიის—გაბატონებულ კლასის მოსარჩლეთა და დამცველად გამოდის, რომელიც მხოლოდ თავის ერის გაბატონებულ კლასის ინტერესების დაცვა უწერია დროშაზე, ვერასოდეს შესძლებს მთელი, მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას, ვერ შესძლებს, ბევრი რომ არა ვსთქვათ, სამართლიანობის პრინციპს ემსახუროს.

ბურჟუაზია და რასაკვირველია მისი მოსარჩლეც ნაციონალურ და სოციალურ საკითხის გადაწყვეტას ვერ შესძლებს მიუდგომლად. მიტომ რომ ბურჟუაზია ყოველთვისა და ყოველ შემთხვევაში ვიწრო ნაციონალისტური გრძნობებითაა გამსჭვალული, იმპერიალისტური პოლიტიკის დამცველია, ყოველთვის ცდილობს რაც შეიძლება შებორკოს და შეასუსტოს დემოკრატიის უფლებები, გავლენა.

და ვინც ამ გზას ადგია, ის ვერასოდეს დაიცავს წმინდა ეროვნულ მოთხოვნილებას ერისას,—იგი არ იქნება გამომხატველი და დამცველი ხალხის უმრავლესობის ინტერესებისა.

საჭიროა რომ ჩვენი ქვეყნის სათავეში, ჩვენი მთავრობა იყოს სოციალისტებისა და დემოკრატებისაგან, ისეთ პირებისაგან, რომელნიც თავგამოდებით დაიცავენ ერის უმრავლესობის ინტერესებს, და რევოლიუციის მოპოებულ უფლებებს ცხოვრებაში განამტკიცებენ. დღეს ჩვენი ერი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. მაგალითად, წინანდელი საზღვრები ჩვენი ქვეყნისა შედარებით ვრცელი იყო, მაგრამ ეს საზღვრები დღეს შეკვეცილია. ცხოვრების ყოველმხრივ არევ-დარევამ, ისტორიული ჩარხის ბრუნვამ და იმ საერთაშორისო პირობებმა, რომელიც გამეფებული იყო ჩვენი ქვეყნის გარშემო ამ უკანასკნელ ხანებში, იმგვარად დატრიალა ჩვენი ტერიტორიის ბედ იღბალი, რომ ჩვენი მიწა წყალი სხვას ჩაუგდო ხელში. ბათომი და ბათომის ოლქის ჩამოშორება, ახალციხისა და ახალქალაქის ჩამოგლეჯა ძალიან მძიმე და სასტიკ მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენს ერს, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, როგორც ეკონომიურის, ისე სტრატეგიული და ეროვნულის მხრივ. საგრძნობელი ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, ჩვენი მოძმეთა დღეს მოქცეულია ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში.

ოსმალთა მადა გაღვიძებული იმპერიალისტები ანგარიშს არ უწევენ ჩვენი ერის ინტერესებს,—მათ სასაცილოდაც არ ყოფნით ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წესწყობილება.

ამგვარია ყოველთვის ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების ზრახვანი, მიზნები. ისინი სჩაგრავენ, არა მარტო თავის მშრომელ ხალხს, ისინი ძირს უთხრიან და ბრძოლას უცხადებენ მეზობელ ერთა და მშრომელ ხალხის ყოველ კეთილ საქმეს,—განადგურებასა და მოსპობას უპირებენ მას, რომ გაამეფონ თავისი მტარვალური წესწყობილება, რომ დასჩაგრონ და მიწასთან გაასწორონ მეზობელ ერის ინტერესები.

(დასასრული იქნება).

*) წაკითხული იყო სხვა და სხვა იარიბაციებში.

# მწარე ფიქრები

1.

გაზაფხულს მოველოდი, მშობელ ერის გაზაფხულს,
შვების ხმაზედ ვმღეროდი, ვალაღებდი ტანჯულ გულს,
ვიძახოდი: აწ კმარა რაც ვიტირე ეულმა,
აწი ვერ დამიმონოს მწარე ბედმა წყეულმა.
აწი სევდა-დარდები ვეღარ მომეკარება,
აწ მეყოფა დატანჯულს გულით ლოდის ტარება,
აწ სამშობლოს მთა, ველი მწვანედ აბიბინდება,
მშობელ ერის თვალს შვების ცრემლები დასდინდება.
და მამულის გაზაფხულს შევეყვარებ გულითა
და ვიმღერებ... ვიმღერებ შვება-სიხარულითა.
რას მიქვიან ცრემლები, რას მიქვიან ვაება,
მწამს სამშობლოს ზაფხული და მისი უკვდავება.
აწი მხნედ შევებმები ბოროტ მავნე სულებსა,
აწ სამშობლოს ზაფხული განჰკურნავს წყლულებსა.
აწ მეყოფა დატანჯულს გულით ლოდის ტარება,
აწი სევდა-დარდები ვეღარ მომეკარება...

2.

მაგრამ თურმე ტყუილად გაზაფხულს მოველოდი,
და იმედით დამთვრალი შვების ხმაზედ ვმღეროდი...
კვლავ ზამთარი გვეწვია, კვლავ მთები ჩამოსთოვა,
მშობელ ცას ჩამოაწვა ყომრალ ღრუბელთა გროვა...
კვლავ ცრემლები... ცრემლები... კვლავ კვნესა და ვაება,
სადღა არის, მითხარით, სამშობლოს უკვდავება?
სადღა არის... სად არის მშობელ ერის მესია?..
... ეჰ, ცრემლებმა დამახრჩო... ფიქრები დამესია...
ერო, ერო, აღსდექი ახალ ძალით აღვსილი!
აღარ გესმის საფლავით წინაპართა ძახილი?!
აღარ გესმის იმათი გმირული მოწოდება?!
კმარა, კმარა ვაება, კმარა ცრემლი, გოდება!
ეჰ, რა მწარედ დამცინის შავი ბედი წყეული...
აწ კვლავ უნდა მოვნახო ჩემი ტანჯვის რვეული...
აწ კვლავ უნდა ვეძებო მშობელ ერის მესია...
ეჰ, დარდებმა წამიღო, ფიქრები დამესია...

ი. ვადაჭკორია.

# მოწოდება ქართველ ხალხისადმი

ოსმალეთთან შეკრულმა საშინელმა საზავო პირობებმა ძველი ჯავახეთი და მესხეთი გაანადგურა. მაჰმადიანთა ურდოები შემოესივნენ ქრისტიან სოფლებს და აიკლეს ჩვენი გლეხ კაცობა. ვინაიდან ჩვენ ჯარს ნაბრძანები ჰქონდა დაეტოვებია საზღვრები ახალციხე-ახალქალაქის მაზრისა, მშვიდობიანი მცხოვრებნი შეიარაღებულ ბრბოთა მიერ აკლების შიშით დაიძრა ადგილებიდან, მიატოვა უპატრონოთ სახლკარი, მთელი თავისი ქონება და გადმოიხვეწა ბორჯომის ხეობაში. ამ ჟამად თითქმის მთელი ჯავახეთი და მესხეთი ბორჯომის ტყეებშია დაბინავებული. უსახლკარო, ულუკმაპურო, ტიტველ-შიშველი, თვალცრემლიანი ითხოვს დახმარებას ეს ხალხი და ყოველ დღე მრავალი ესალმება წუთი სოფელს.

ქართველო ხალხო! თქვენ იცით თუ ვინ არიან მესხნი და ჯავახელნი თქვენ იცნობთ მათ მამაცობას და ვაჟკაცურ ბრძოლას. ესენი იცავდენ მუდამ საქართველოს გასაღებ კარებს, თავის მკერდით ეჴიდებოდენ. ყოველთვის ოსმალთა შემოსეულ ურიცხვ ჯარს და არა ერთხელ და ორხელ გადაურჩენიათ ჩვენი ქვეყანა აოხრებას და განადგურებას დღესაც ამ ხალხმა ჩასწერა საუკეთესო ფურცელი ჩვენი თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაში და საუკეთესო ვაჟკაცნი შესწირეს სამშობლოს. გაიღეს ყველი ის მსხვერპლი, რაც კი შეეძლო გაეღო საუკუნოებით განადგურებულ და ნანგრევებათ ქცეულ მესხეთს და ჯავახეთს. დღეს ძველ უდაბნოებს, ისტორიულ ნანგრევებს მიემატა კიდევ უთვალავი ნანგრევები მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ცეცხლში და მახვილში გადარჩენილ სოფლებისა. და ეს ხალხი კი, უკანასკნელი ქართველები უკანასკნელი ქართული სოფლებისა, გადმოიხვეწა ჩვენში, დაეხეტება ტყე-ღრეში, ითხოვს დახმარებას. ჩვენმა დამარცხებამ დაამარცხა ეს გმირი ხალხი, რომელნიც ერთი წუთითაც არ ფიქრობდენ დამარცხებაზე, მოგვეწყდნენ იმ დროს, როცა ჩვენ დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყეთ და ჩვენ ოჯახში დღეს არ არიან ისინი, ვინც ყველაზე მეტად ეტრფოდა თავისუფალ საქართველოს, აყვავებულ სამშობლოს. ეს ძველი მესხები და ჯავახელები იყვნენ, რომელთაც სოფლების ნანგრევები უყვებოდა ძველი მათი კულტურის და დიდების ამბებს.

დღეს ეს ხალხი განსაცდელშია. იღუპება მესხები და ჯავახელები. ვეთხოვებით უკანასკნელ ქართველებს, რომელნიც საუკუნოებით იტანდენ მონობას, რათა ერთ დღეს თავის ძმებთან ერთად შესულიყვნენ თავისუფლების ტაძარში, მარა ბედმა არ დაინდო ისტორიულად განაწამები ჯავახეთი და მესხეთი. დღეს მოსთქვამს ეს მხარე სტირის დედა და უსახლკარო ბავშვები ტყეში გახიზნული ტიტინით ევედრებიან ყველას გადაარჩინონ განსაცდელს.

ჩვენ უნდა ვუშველოთ ჩვენ ძმებს. გულზე გვეკვრის ეს ხალხი, როგორც ბავშვი დედას, ჩვენც მაგრათ უნდა ჩავიკრათ გულში, მოვეალერსოთ და ნუგეში მივსცეთ, გადავარჩინოთ დაღუპვას, სამუდამოთ გულიდან არ მოვიწყვიტოთ.

ქართველო ხალხო! შენ უხვი ხარ დახმარებაში, შენ იბრალებ ყოველ დავრდომილს და დაცემულს, შენ უგზავნიდი ალერსს და უხვ დახმარებას აჭარას, რომელმაც შემდეგ გილალატა და მახვილი ჩაგცა გულში. შენ ეხმარებოდი ყველას და ეხლა კი შენი მოვალეობაა გაუწოდო ძმური ხელი შენ ნამდვილ ღვიძლ ძმებს, შენს სისხლსა და ხორცს, რომელიც დიდი ხანია მივიწყებული გყავდა, მარა შენგან დავიწყებულს, მას მუდამ მხოლოდ შენ ახსოვდი, შენსკენ მოიწევდა.

და ეს დაამტკიცა ახალციხემ და ჯავახეთმა. როგორც სალი კლდე იდგა დღემდე ურიცხვი მტრის წინააღმდეგ, მარა როცა შენ დამარცხდი, დაამარცხე ეს გმირი ხალხიც. ეხლა კი შენი ვალია, ქართველო ხალხო, მიიღო ეს ძმა, შენი ჰერ ქვეშ შემოხიზნულ ავადმყოფს დასდო მალამო.

გამოგზავნეთ დახმარება დაუყოვნებლივ, ვისაც რით შეგიძლიათ: ფულით, პურით, შაქრით ტანთსაცმელით და სხვა. ქველმოქმედებო, მოაშურეთ ბორჯომისკენ, ითავეთ გამოსაკვები პუნქტების გახსნა, იხსენით ბედკრული ჯავახეთი და მესხეთი, გადაარჩინეთ ის სიკვდილს.

ყოველგვარი შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: **Боржом, Комитеть по оказанію помощи беженцамъ.**

ბორჯომის ლტოლვილთა კომიტეტი.

---

P. S. ვთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდონ ყველა ადგილობრივმა ქართულ-რუსულმა გაზეთებმა.

# ქართული ფულის ფონდი

— ქართული ოქროსა და ვერცხლის ფულის მოსაგროვლად სვიმონ ბეგანიშვილმა შემოიტანა: ერთი ნიშანი სტანისლავისა მე 3 ხარისხის, მეორე ნიშანი ანნასი მე 3 ხარისხის.

— ემანუილ კარლოსძე ლეგრანისაგან. თერთმეტი ცალი სპილენძის ფული, ვერცხლის საპაპიროსე, ვერცხლის საათის ბუდე, ვერცხლის კოვზი, ორი პატარა სალტე მუშტუკისათვის.

— მასწავლებელ ელ. სულხანიშვილისაგან 5 მან. ვერცხლის ფულად.

— მასწავლებელ ჭანტურიასაგან 3 მან. ვერცხლის ფულად და ერთიც ვერცხლის მედალი.

— X-საგან, ჯოხის ვერცხლის თავი.

# ქართული ჟურნალი კიევში.

რედაქციამ მიიღო კიევში მცხოვრებ ქართველების ორგანო „ზარი", საპოლიტიკო, სალიტერატურო და საიუმორო ჟურნალი 1918 წ. მაისის 5—№№ 6—7, ჟურნალი შემდეგი შინაარსისაა: მეთაური—ჩვენ მივდივართ—ჩემს მუშას, ლექსი ა. გაფრინდაშვილისა.—სამი დღე ოდესაში, თ—სა განსაცდელის ჟამს, გრ. ცეკვაშვილისა—ზარს, ლექსი ლ. დარჩიასი—სეპარატისტის წერილები, დილეტანტისა,—რა მოგველის, გ—ასი,—გამოსალმება ზარის სარედაქციო კოლეგიისა. ნაწყვეტი შევჩენკოს შეშლილიდან, თარგ. ხარხელისა.—ნაკვთები უკრაინის ცხოვრებიდან. ვ. სერგეთელისა. ქრისტე და მარქსი, დათიკოსი.—პირველი მაისობა კიევში.—ზარის ცხოვრებიდან.—შემოწირულებანი.

ჟურნალის ბოლოში დაბეჭდილია ასეთი ცნობა: „ზარის" სარედაქციო კოლეგიას 3 მაისის ოქმიდან: ვინაიდან საქართველოში სწარმოებს ომი საჭიროდ მიგვაჩნია მოისპოს აქაური ორგანიზაციები და ყველა საქართველოში გააგზავნოს კომისარიატი უნდა გაუქმდეს რადგანაც საჭირო აღარაა მისი არსებობა, კიევში უნდა დარჩეს ერთი პირი კომისარი, რომელიც ჩამორჩენილ ჯარისკაცებს გაგზავნის სამშობლოში" „ზარი" სწყვეტს მუშაობას და 12 მაისს მიემგზავრება საქართველოში"

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეადგენენ გ. ნათაძე, დ. ჩხეიძე, ვ. ჩხაავა, გმ. ცეცხვშვილი, მირონ ჟოჟიჩიშვილი ნ. ოქროპირიძე.

ჟურნალი გამოცემულია ლიტოგრაფიის საშუალებით და შეიცავს საწერ ქაღალდის ოც გვერდს.

# გლეხებო, ძმებო

**გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!**

ასე შემიძლიან დავიწყო, ამხანაგებო და ძმებო, ეს წერილი თქვენთან და თქვენც გილოცავთ საქართველოს თავისუფლებას! 26 მაისს საქართველომ თავისუფლება და საკუთარი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომ საკუთარი ძალით და ღონით ევლო საკუთარ გზაზე, გვერდში ამოსდგომოდა თავისთანა პატარა და დაჩაგრულ ერებს და თავისი წვლილი კაცობრიობის სალაროში ალალი გულით შეეტანა. დამოუკიდებლობის გამოცხადება ეს იმას კი არა ჰნიშნავს, ვითომ ჩვენ არ გვინდოდა და არ გვინდოდეს სომხებთან, თათრებთან, რუსებთან და სხვებთან ძმობა და ერთობა, დაგვიფაროს ღმერთმა! რა სჯობია ძმობასა და მეგობრობას! მაგრამ თუ ცალკე გამოვედით, ეს იმიტომ, რომ სხვა გზა არ იყო, გამოვედით იმიტომ, რომ საკუთარ მკლავით, საკუთარ ფეხზე უფრო მოვმაგრებულიყავით და მერმე მეზობლებისთვის უფრო კარგი ძმობაც გაგვეწია და მეგობრობაც. ჩვენ რომ ჩვენი თავისათვისვე უმაქნისი ვართ, ჩვენ რომ კუდა ხარისა არ იყვეს, სხვას დავუწყოთ ბუზების გერიება და ჩვენ თვითონ კი კრაზანებმა შეგვჭამონ ვის რას მოუტანთ სარგებლობასა? თათარმა ისარგებლა და სომხების ადგილ-მამული და მიწა წყალი ხელში ჩაიგდო; აჭარის თათრებმა გვიღალატეს მოსულ მოძმეს [illegible] ბას გაუწევდნენ და ჯერ ქართველობაზე მიდგა. თათრებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყნის მოზრდილი ნაწილი, ხელში ჩაიგდეს ბათომი და ბათომის მდიდარი მხარე, თხოულობენ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრას და, როგორც ეტყობა, უარს არ იტყვიან ჩვენს დედა-ქალაქშიც ამოჰყონ თავი. საკუთარ სახლს რომ ცეცხლი ეკიდოს, ვინ გაიქცევა მეზობლისაკენ, რომ მის ცეცხლ-წაკიდებული ბუხარი დაანელოს? ჯერ თვითონ ეცდება თავის სახლ-კარი დაწვას და გადაბუგვას გადაარჩინოს და მერმე მეზობელსაც მიჰხედოს, თორემ ცეცხლი ხომ სხვა მეზობლების სახლ-კარსაც ემუქრება?.. ჩვენც რომ თათარმა ჩაგვიგდოს ხელში, ხომ ჩვენი თავიც დავიღუპეთ და უარესად დავღუპეთ ის ხალხიც, რომელიც ეხლა აწიოკებულია და სახლკარ მიტოვებული უგზოდ და უკვალოდ, თვითონაც არ იცის, საით მიგქანება?...

ზოგი იტყვის, არა ერთ მუჭა ქართველობას რა შეგვიძლიან... აქამდე სხვა გვყავდა ბატონიც და პატრონიც, ეხლა არც ერთი გვყავს და არც მეორე: რუსები წავიდნენ, სომხებს და სხვებს გამოვეყეთ და საკუთარი ძალღონით ან მტერს რას ვარგივართ ან მოყვარესო. მაგრამ ვინც ასე იტყვის ის შემცდარი და მოტყუებულია. ვისაც არც წარსული ჰქონია და არც საკუთარი მიწა წყალი, ვინც ჩვენზე დაბლა სდგას განათლებითაც და ერთობის შეგნებითაც, ისიც კი ეძიებს დღეს საკუთარ გზას და ბედნიერების შენობის საკუთარი ხელით აგებას, და ჩვენ რა დაგვემართა, რომ ვერ შეგვძლოთ თავისუფალ გზით სიარული, საკუთარი ბედის გამოჭედვა, ვერ შეგვძლოთ მტრის მტრობა და მოყვრის მოყრობა? განა ძველად ამხანაგებო და ძმებო, საქართველო მუდამ სხვის ხელში იყო შემყურე და სხვის ლუკმას მიჩვეული? მას ჰქონდა საკუთარი კულტურა, განათლება, საკუთარი სურვილი და ნებისყოფა, საკუთარი გლოვაც და ზეიმიც. ვინ იცის რამდენჯერ დასცა პატარა საქართველომ დიდ მტერს თავზარი და რამდენჯერ აყვავდა და გაძლიერდა. და თუ ბოლოს მთელი საუკუნე მონობაში გავატარეთ, ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ მონობა ვარჩიეთ თავისუფლებას და საკუთარი ხელით გამოვიჭერით ყელი. ეს იმ უკუღმართობის ბრალია, რომლის ღრუბლები საქართველოს ცაზე მაშინ შავად და კუშტად მოიკრიბა და სახელმწიფოს იმ მესვეურთა დანაშაული, რომელთაც ერის ზრახვას და გულის წადილს ალღო ვერ აუღეს, მომავალი ვერ გაითვალისწინეს და ერს სხვის უღელში გაუყვეს თავი. ზოგნი კი ეხლა გაჰკივიან დაუფიქრებლად—ურუსებოდ ჩვენ აბა რას წარმოვადგენთ, რა შეგვიძლიან, თუ სხვამ არ გვიპატრონა და თვალი არ დაიჭირაო. ამას ის თუ იტყვის, ვისაც გული შავი აქვს, ან საკუთარი სიცოცხლის უნარი დაუკარგავს, გონება და ნებისყოფა მოსდუნებია, წარსული დავიწყნია და სხვის ხელში შეყურებას, სხვის ლუკმაზე ყოფნას მიჩვეულია. ნუ დაუჯერებთ ასეთ ხალხს, არ გვინდა ასეთი ხალხი. ქართველ ერს ძალაც შესწევს და ენერგიაც დღევანდელ განსაცდელიდან გამარჯვებული გამოვიდეს, სურვილიც აქვს და ხალისიც იცოცხლოს თავისუფალი და თავისუფალი ჩაებას კაცობრიობის ფერხულში, კულტურისა და განათლების სამეუფეოში თავისუფალი შევიდეს. და ვინც საქართველოს და ქართველ ერს უგალობს სულთათანას, უწინამც ის დამიწდეს და დასამარდეს! საქართველოს სიცოცხლე და ზეიმი სწყურია და ახალი, ჩვენი, ქართული მთავრობაც იმის ცდაში იქნება მუდამ—საქართველოს სიცოცხლე შეარჩინოს და საქართველოს ზეიმი გარდაიხადოს. ქართველ მშრომელ ხალხს, მშრომელ გლეხს, მუშას, ცხოვრება შეუმსუბუქოს, გაიყვანოს არხი, გზა, გააკეთოს ხიდი, სკოლა, საავადმყოფო, დაიცვას საქართველოს საზღვარი და მიწა-წყალი, აყვავოს და გაფურჩქნოს საქართველოს ველი და მინდორი, ყველას, ვინც ჩვენს ქვეყანაში იცხოვრებს, თა-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ვისუფლება, ადამიანური ცხოვრება მოანიჭოს, დაამყაროს ერთობა, ძმობა და თანასწორობა, განამტკიცოს და აამყაროს თავისუფლება, მოსპოს უსამართლობა და მონობა და მტერსაც გასცეს პასუხი და მოყვარესაც. საქართველოს პატარა რესპუბლიკა, მერწმუნეთ, შესძლებს ამას, მხოლოდ შესძლებს მაშინ, როცა ჩვენს მთავრობას ყველა გვერდში ვუდგებით და ყველა დავეხმარებით, ჭირშიაც და ლხინშიაც ყველა ერთად, ერთ ოჯახად ვიქნებით, მოვსპობთ ერთმანეთში შურსა და მტრობას, ერთმანეთში ქიშპსა და გაუტანლობას და ყველა ერთ მიზანს, ერთ საგანს დავისახავთ—საქართველოს სიცოცხლეს და თავისუფლებას.

და რახან ჩვენს ხალხს თავი შეურცხვენია და სხვის ხელში შეყურებას მიჩვეულა, გაიგეთ, ისმინეთ,—იქნება ამან თქვენამდე კიდეც მოაღწია: საქართველოს, ჩვენს მთავრობას დახმარება და შეფარველობა აღუთქვა ძლიერმა გერმანიამ. მაგრამ ეს იმას კი არა ჰნიშნავს, გულხელი დავიკრიფოთ და აღარაფერი გავაკეთოთ, არა, ჩვენც უნდა გავანძრიოთ ხელი და გონება მარჯვენა ავამუშავოთ.

დღევანდელმა მდგომარეობამ, დღევანდელმა უწესოებამ და არეულარევამ, რასაც ანარქიას უძახიან, დღევანდელმა გაჭირვებამ და უბედურებამ, ძმებო, ვიცი გული გაგიტეხათ და თავისუფლებაზე ცოტა აზრიც შეგაცვლევინათ. თქვენ გგონიათ ეხლა, თითქოს თავისუფლება თავისუფლად თარეშსა და პარპაშს, უსამართლოდ ქცევასა და ძარცვა-გლეჯას, კაცისკვლას და ბოროტებასა ჰნიშნავს, გგონიათ, რომ ამ უწესოებას ბოლო აღარ მოეღება, ვიდრე ტახტზე ისევ მეფე არ წამოსკუპდება და ბოქაულის მათრახი ხალხს ზურგს არ აუწყავს. მაგრამ თქვენ რომ არეულობების ისტორიას იცნობდეთ საერთოდ, თქვენ რომ იცოდეთ როგორ და რა გზით ხდებოდა რევოლიუცია სხვა ქვეყნებში და ხალხი როგორი ტანჯვით და წამებით იმკვიდრებდა თავისუფლებას, მაგრე როდიდა იფიქრებთ. უშრომლად, გაუჭირვებლად ძმებო, რა გაკეთებულა? თქვენ რომ ლუკმას სჭამთ, ის ლუკმა ციდან ცვივა მზამზარეული, თუ შრომობთ, დღისა და ღამეს ასწორებთ, სისხლსა და ოფლსა ღვრით, წელებზე ფეხს იდგამთ, დილიდან საღამომდე მიწას ჩაჰკირკიტებთ და წვითა და დაგვით პოულობთ? ან და ქოხი რომ გიდგათ და კარგი სახლის აშენება მოიწადინოთ, კაცო, მასალა ხომ უნდა მოიტანოთ, ხომ უნდა ხვითქი გაიგდებინოთ და იმუშაოთ, ხომ ვერც პური სჭამოთ გემრიელად და ვერც წყალი დალიოთ, ხომ უნდა გაიჭირვოთ და იქნებ ისეც გაიჭირვოთ, რომ დაბადების დღე იწყევლოთ? საგიეროდ მერმე, როცა ააშენებთ, ველს როგორი მოილერებთ, ჩაიგრეხავთ ულვაშს კმაყოფილებით, მოუჯდებით სუფრას დასვენებული და იქნებ მაყრულიც შემოსძახოთ?.. ასეა ჩვენი ერთობის საქმეც. ძველმა წესწყობილებამ და მეფის მთავრობამ სული ამოგვხადა და ძარღვში სისხლი გაგვიშრო. ჩვენ ამას ვეღარ გავუძელით და მეფე ტახტიდან გადმოვასკუპეთ, ძველი დავამხეთ და ახალის აშენება მოვიწადინეთ. ისე ხომ არ არის, რომ რაკი ძველი უარვყავით, ახალი მზამზარეული ციდან ჩამოვარდება? ახალსაც ხომ აშენება და განმტკიცება უნდა და ახლის აშენებას ხომ უფრო მეტი ძალა და სიფრთხილე სჭირია? ძველი იმიტომ დავანგრიეთ, რომ შეუფერებელი და უსამართლო იყო. ახალს იმიტომ ვაშენებთ, რომ იყვეს საღი და სამართლიანი. და ამას ხომ ნელი და დინჯი, ფრთხილი, და მოფიქრებული მუშაობა სჭირია? ამ მუშაობის დრო ბევრი რამ გაგვიჭირდება, შეიძლება ხელი ვილტოთ(?), შეიძლება ფეხი მოვიტეხოთ, შეიძლება დოვლათი დაგვეცალოს და ქონება გაგვენიავდეს, მაგრამ ეს იმას ჰნიშნავს მუშაობას თავი მივანებოთ, დავიკრიფოთ გულხელი და ვუცადოთ ღმერთი ციდან საჩუქრა და ქადას როდის ჩამოგვიყრის? თქვენ რომ სახლს აშენებდეთ, ნახევარი დამთავრებული გქონდეთ და მუშაობა და ხარჯი ჯერ კიდევ გქონდეთ და ამ დროს მოგიკვდეთ ხარი, სიკვდილმა შვილი მოგტაცოთ ან ნიაღვარმა ნათესი წაგილეკოთ და დიდი ზარალი მოგაყენოთ, სახლის შენებაზე სამუდამოდ ხელს აიღებთ? გული გეტკინებათ, სიცოცხლე გაგიმწარდებათ; მაგრამ ცულსა და ხელეჩოს კი ხელიდან არ გააგდებთ და როცა დაიუმჯობინებთ შენობას დაამთავრებთ. დღესაც ძველი ინგრევა, ახალი იჭერს იმის ალაგს. ძველსაცა ჰყავს მომხრე, ახალსაც ჰყავს მტერი. ბრძოლაა გაჩაღებული. ბევრია მღვრიე წყლის და ბნელი ღამის მოყვარული. გაჭირვებაა, სიმრუდე, ავაზაკობა, მთავრობა ახალის შენებით არის გართული და ყველგან ხელი არ უწვდება. ხალხი კი დაქსაქსულია და იმედ მილეული. მაგრამ ეს დროებითია, გადასავალი. ნათელი ბნელს სძლევს და თავისუფლება უწესოებასა და უსამართლობაზე გაიმარჯვებს. ჩვენი პატარა სამშობლოს ერთგული მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, გაჭირვებასა და ანარქიას დღეს არა ხვალ დაიმორჩილებს, ოღონდ გულს ნუ გავიტეხთ თავისუფლებაზე; ოღონდ გავუძლოთ ჭირს და საერთო ცდით და ძალით მას მხარი დავუჭიროთ. ჩვენი მთავრობა, თუ მას ხალხი გვერდში ეყოლება, ძალასა და ღონეს არ დაზოგავს თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ცხოვრებას დღეს არა ხვალ ახალ კალაპოტში ჩააგდებს. მშვიდობას და სამართლიანობას დაამყარებს, ძმურად და მეგობრულად გაუწვდენს ხელს ყველას, ვისაც სწამს ძმობა და მეგობრობა... ჩვენი ცხოვრება ახალი შენობა იქნება, კარგად, სამართლიანად, გონივრულად, თბილად მოწყობილი. გავიჭირვოთ პატარა კიდევ, ჭირს და უბედურების ნუ შევუშინდებით. ხელი მივცეთ ერთმანეთს და ერთი-ერთი გავამხნევოთ, მერე კი შევებათ ტკბილ ცხოვრებას, საღსა და სამართლიანს, ქუდი გვერდზე მოვიდოთ და შემოვძახოთ: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტერისთვის სარჩობელაო"...

გლეხებო, ძმებო, ამხანაგებო, მამულიშვილნო! ქართველი ერის ცხოვრებაში 26 მაისიდან ახალი ხანა დაიწყო, საქართველო ახალ გზას დაადგა და თავისუფლებისა და ერთობის გზაზე საკუთარი ფეხით გამოვიდა. ვისაცა გწამთ ძმობა, ერთობა და თავისუფლება, ვისაც გსურთ მალე მოისპოს უწესოება და მშვიდობა და სამართლიანობა ჩამოვარდეს, დაუჭირეთ მხარი საქართველოს ახალ მთავრობას, დაეხმარეთ მას სიტყვით და საქმით, მიეცით ხელი ხელს და ერთობით შექმენით ის მტკიცე საფუძველი, რომელზეც იგი გაბედულად და თამამად დაემყარება.

ხანგანიძე.

## წერილი თელავიდან

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი კ. ანდრონიკაშვილი და რ. ჩიხლაძე 4 თიბათვეს მოვიდნენ თელავში ეროვნულ საბჭოს დავალებით. მათი მიზანი იყო გადაეცათ თელავის მცხოვრებთათვის ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილება, 26 მაისს გამოტანილი.

იმავე დღეს საღამოთი დაინიშნა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება. კრება დაინიშნა თელ. შენახველ-გამსესხებელ ამხ—ბის დარბაზში, რადგანაც მოსალოდნელი იყო რომ ბევრი ხალხი დაესწრებოდა და მართლაც ამ საღამოს დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი.

ვიდრე კრება გაიხსნებოდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისაგან დეპეშა მოვიდა ზავის შეკვრის შესახებ. ყველა მოუთმენლად ელოდა დეპეშის შინაარსს. წაიკითხეს იგი, ყველა სამარისებური დუმილით შეხვდა. ახალქალაქის და ახალციხის მაზრების დათმობამ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. აქა-იქ საზოგადოებაში გაიგონებდით გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს „რაღას ზავია" „ზავი კი არა ეს გამარჯვებულის ნაკარნახევი პირობებია" „მერე ვისი ბრალია, თუ არა ისევ ჩვენი, სამშობლო განსაცდელში იყო, და ხალხის უმრავლესობა მობილიზაციას ემალებოდა, ვისაც უნდა იმან იომოსო".. მწარე ირონიას იწვევს დეპეშის ის ადგილი, სადაც სწერია გამოუცხადეთ ხალხს მშვიდად შეხვდეს ზავსაო, თითქოს ჩვენი ხალხის დიდ უმრავლესობას ძალიან ეინტერესებოდეს ომი ან ზავი. ის ეხლა დატაცების და მიტაცების სენით არის შეპყრობილი და თავის და თავისი ოჯახის გარდა, იგი არასა ჰხედავს. რაც შეეხება სამშობლოს და მის განცდას ეს მისთვის არც კი არსებობს...

ჩვენ სულ სხვანაირად მოველოდით საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთ, მაგრამ მიღებულ დეპეშის შინაარსმა სულ შესცვალა ჩვენი სულიერი მდგომარეობა.

9 საათი იქნებოდა, როცა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ლევ. ვახვახიშვილმა მოუწოდა ხმოსნებს და ზარის წკარუნით ამცნო საზოგადოებას კრების გახსნა. მან მოახსენა დამსწრეთ ჩვენი ეროვნული საბჭოს წევრების კ. ანდრონიკაშვილის და ჩიხლაძის ჩამოსვლის მიზანი და სიტყვა მისცა ქალაქის თავს, ამავე ეროვნ. საბჭოს წევრს, კ. ანდრონიკაშვილს.

მოქალაქე ანდრონიკაშვილმა დაწვრილებითი მოხსენება წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ, რომელიც გულდასმით და ყურადღებით იყო მოსმენილი. იყო შეკითხვებიც. შემდეგ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა რ. ჩიხლაძემ.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ქალაქის საბჭომ მოისმინა ქალ. თავის ანდრონიკაშვილის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და იგი თავის სრულ თანაგრძნობას გამოსთქვამს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების გამო საქართველოში, სადაც დამოუკიდებლობის აქტის ძალით ადგილი არ ექნება საქართველოში ეროვნულ შუღლსა და სადაც, ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა ეძლევა თანასწორი მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებები, ამისთვის თელავის საბჭო ნდობას უცხადებს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს მას ყოველივე დახმარებას".

მეორე დღეს, 5 თიბათვეს, გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო და მათ შორის აქ მდგომი ჯარი. დუქნები მთელი დღით დაიკეტა. მხოლოდ თელ. შენ. გამს. ამხანაგობის შენობა, რომელიც თელავის საუკეთესო ალაგას იმყოფება, მშვენივრად მორთული ხავერდებით, ყვავილებით და პატარ-პატარა ეროვნულ დროშებით. ამავე შენობის აივანზე აღმართული იყო დიდი ეროვნული დროშა, მხოლოდ აქა-იქ იყო წითელი დროშები.

მიტინგი გახსნა თელ. ქალაქის თავმა კ. ანდრონიკაშვილმა, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა მომენტის შესახებ. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რ. ჩიხლაძემ და წაიკითხა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი ისე ზავის დეპეშა.

მიტინგის შემდეგ ათას წლოვან ჭანდრის ქვეშ, რომელიც ჩვენი სამშობლოს ბევრი ბედნიერების და უბედურების უტყვი მოწამეა, გაიმართა სადილი, ან უკეთ რომ ვთქვათ ბანკეტი, რომ უფრო გულდასმით გაეზიარებინათ თავისი გულის ზრახვანი დამსწრეებს, რომელთა შორის ბევრი სოფლის წარმომადგენელი იყო. სადილზე წარმოითქვა მრავალი სიყვარულით(?) სიტყვა, უმთავრესად საქართველოს დამოუკიდებლობის და ზავის შესახებ. ნაღვლით სავსე იყო წარმოთქმული სიტყვები. ბევრი თვალცრემლიანი ისმინდა მათ. იყო სიცილი, რომელიც ტირილზე მწარედ ხვდებოდა გულს, იყო ღიმილი, რომელიც მოწყენილ ცრემლებში იმალებოდა.

დაგიწყებული.

## ქართველები ჯარში.

გიგა მელაქიას ძე გონაშვილი მსახურობდა ქვეითა ჯარში 44 კაზნატკის პოლკში, რომლიდანაც 1917 წ. ივნისიდგან არავითარი ამბავი მის ჭირისუფლებს არ მოსვლიათ, რის გამოც სთხოვენ ყველას ვინც კი რამე იცის გააუწყოს. მისამართი: კახეთის რკინის გზის სადგური გურჯაანი, სოლომონ ნასიძეს.

## შემოწირულება

ამხანაგო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზ. „სახალხო საქმის" საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ იმ პირთ, რომელთაც გამოიღეს თავიანთი წვლილი ბათომის პარტიზანულ რაზმისთვის საჩუქრების შესაძენად: ინჟინერმა კონსტ. ძნელაძემ 100 მან., ვლადიმერ ჩიქოვანმა 100 მ., ალექსანდრე ქუთათელაძემ 50 მან., ნოე კლდიაშვილმა 50 მან., კლიმენტი გუგუშვილმა 50 მან., ნინო მაჭავარიანმა 40 მან., იოსებ ძნელაძემ 10 მ., იოსებ დევაძემ 10 მან., ნიკოლოზ ლვინაშვილმა 3 მან., ელენე ჯულელისამ 10 მან., კონსტანტინე ყვავაძემ 10 მან., მარიამ იოსელიანმა 10 მან., ექვთიმე ჩიკვაიძემ 2 მან., ირაკლი სიმონიშვილმა 10 მან., ევგენი მილორავამ 3 მან.. კოლია იოსელიანმა 10 მან., ათანასე ჩირიკაძემ 2 მ., ვარლამ კაპანაძემ 10 მან., ნიკო ჯოჯიშვილმა 10 მან., ბარბალე მღლრაძემ 3 მან., პეტრე კაპანაძემ 11 მან., სონა ტატიშვილმა 5 მან., ნატალია ოდიშელიძემ 10 მ., ლიდა სარალიძემ 10 მან.. ნინა თურმანიძემ 6 მან.. ქეთო თურმანიძემ 3 მან., ნესტორ ნარსიამ 10 მან., აბელ ციცქიშვილმა 5 მან., იოსებ ხუციშვილმა 10 მან., ესტატე ჰყოიძემ 5 მან., ზაქრო ორჯონიკიძემ 2 მან., მარო ჩიტოშვილმა 3 მან., მართა მანჯავიძემ 5 მან., სიმონ ბერაიამ 10 მ., ნინო ბერაიამ 10 მან., მელაქია თურმანიძემ 3 მან., იოსებ კვალიაშვილმა 5 მან., მარიამ კვალიაშვილმა 3 მან. სულ 612 მან.

შეგროვილი ფულით ორგანიზაციამ შეიძინა პაპიროსი, კვერცხი, ყველი, ხილეულობა და გაუგზავნა მოწინავე პოზიციებზე მყოფ ამხანაგებს სერგო ბუაჩიძისა და ნიკო ჯოჯიშვილის ხელით. ზემო აღნიშნულ პირთ დიდ მადლობას უცხადებს ხაშურის სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის ორგანიზაცია.

ხაშურის სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარე ინჟინერი კ. ძნელაძე, მდივანი ს. ბუაჩიძე.

8 ივნისი 1918 წ. ქ. ხაშური.

გამომცემელი
ხახუტა ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

**თვალის სამკურნალო**
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინსა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

კბილის ექიმის
**ვ. [illegible] ჰიჭინაძის**
კაბინეტი
ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. ჰიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 78. 591

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
**[illegible]**
[illegible] 8—9 ს, [illegible] 4—6 ს. [illegible] ქ. 12, [illegible] 1002

ექიმი
**პ. ტყეშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხეილის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
**ახალი სამკურნალო**
კბილის ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის ექიმის კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკური ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციებით) დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] 1080

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
**ი. ლ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. [illegible]ის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
**ვ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
**ნ. ა. ფოფხაძე**
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

**ექიმ ნაგახარდიანის**
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი. 1010

ექიმი
**დონხინი**
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
[illegible], იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
**ი. ი. ბერიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3. 454

**შემთხვევით—პატრონის ავადმყოფობის გამო**
**იყიდება**
**ბიბლიოთეკა,** იყიდება აგრეთვე რუსეთში და კავკასიაში კარგად ცნობილი 25 წლის განმავლობაში სამღვინეო(?) მეურნეობა და პიტოვნიკი ამერიკული ვაზისა ფირმა „კლო ეღურული" ქ. ქუთაისში.
ზემოდ აღნიშნული ფირმა დაჯილდოვებულია 35—მედალით რომლითაც შეუძლია ისარგებლოს მყიდველმა. 1188

სამეურნეო ნაწარმოებთა **გამსაღებელი** და მეურნეობისთვის საჭირო მასალის
**შემძენი კოოპერატივთა კავშირი**
აუწყებს ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს, აგრეთვე სოფლის მეურნეთ და კერძო პირებს, რომ კავშირი მიიღებს საკომისიო წესით გასასაღებლად სამეურნეო ნაწარმოებთ (ხორბალი, ფქვილი, ხილი, შეშა, თამბაქო, ღვინო, მატყლი და სხვა) მცხოვრებთათვის საჭირო და სამრეწველო ფაბრიკატებს როგორც ბითუმად (პარტიობით) ისევე წვრილ-წვრილად.
კავშირის კანტორა იმყოფება მოსკოვის ქუჩა № 4. ტელ. 6—22. 605.

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა
**სავაჭრო სახლი**
**„კომერსანტი"**
კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე;
ყველას, ვისაც რამე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით.
„კომერსანტს" ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დაბა ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.
„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა ღირებში შეიძლება მისი შეძენა.
„კომერსანტებს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიათ [illegible] ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.
„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორგოვეში". 1160

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14